პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე **№** 0

**ID** 301851197

| | | |
|---|---|---|
| გადამხდელის დასახელება<br>პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი<br>ანგარიშის ნომერი<br>გადამხდელის ბანკი | შპს გეომეფი<br>215149177<br>GE34PC0173600100030015<br>სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22 | თანხა ციფრებით<br>50.00 **GEL**<br>თანხა სიტყვებით<br>ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი |
| საბიუჯეტო / სხვისი სასარგებლოდ გადახდა<br>დასახელება<br>პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი | | სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)<br>☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 საათიდან 16:00 საათამდე |
| მიმღების დასახელება<br>ანგარიში / სახაზინო კოდი<br>მიმღების ბანკი / ხაზინა | ს.ს.ი.პ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო<br>GE52BR0000010591718543<br>სს "ბანკი რესპუბლიკა" კოდი REPLGE22 | ბანკის აღნიშვნები<br>ბანკში შემოსვლის თარიღი<br>**10.06.2013 01:27** |
| გადახდის დანიშნულება<br>დამატებითი ინფორმაცია | შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", ს/კ412670097, საკონკურსო განაცხადი N804 | ხელმოწერა<br>------------------- |
| ხელმოწერები<br>------------------<br>------------------ | თარიღი: **10.06.2013** | პროკრედიტ ბანკი<br>PROCREDIT BANK<br>ელექტრონული მომსახურების ცენტრი<br>ELECTRONIC SERVICE CENTER |

GEORGIA, "GEOMAP" LTD * 215149177 * საქართველო, შპს „ჯეომეფი"

N804

# შ.პ.ს. „გეომეფი“ GEOMAP L.T.D.

## რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| ფირმისდასახელება: | შ.პ.ს. „გეომეფი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 215149177 |
| დირექტორი: | დათა კვარაცხელია |
| კომერციული დირექტორი: | გოგა კვარაცხელია |
| იურიდიული მისამართი: | ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. #7 |
| ფაქტიური მისამართი: | ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. # 166 |
| ტელ. ნომერი: | 790 991929, 591163016 |
| ელ. ფოსტა: | gogakv@caucasus.net / gogakv@geomap.pro |
| მომსახურე ბანკი: | სს „პროკრედიტ ბანკის“ ზუგდიდის ფილიალი |
| ბანკის კოდი: | MIBGGE22 |
| ანგარიშისნომერი: | **GE34PC0173600100030015** |

2. ჩვენს მიერ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი დ.ღ.გ-ს ჩათვლით შეადგენს: **75000 (სამოცდათხუთმეტიათასი)** ლარს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების 90%-ის ოდენობით. (ავანსის შემთხვევაში ავანსად გადახდილი თანხის სრული დაქვითვით).

3.3 საბოლოო ანგარიშსწორება დარჩენილი 10%-ის ოდენობით განხორციელდება

შ.პ.ს. „გეომეფი“ GEOMAP L.T.D.

სატენდერო

დოკუმენტაციის მომზადების ეტაპზე საპროექტო დოკუმენტაციის დადებითი შეფასებიდან და ტენდერის გამოცხადებიდან 10 კალენდარულ დღეში, მაგრამ არაუგვიანეს პროექტის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.

3.4 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“

სახელშეკრულებო თანხის 30%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

4. საპროექტო მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

შ.პ.ს გეომეფის დირექტორი: /დათო [illegible]ია/

საქართველო შპს „გეომეფი“
215149177
GEORGIA. "GEOMAP" LTD


მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7; ტელ.: 790991929, 891163016.; ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

შ.პ.ს. „გეომეფი“ GEOMAP L.T.D.

# ტექნიკური დავალება

პროექტის დასახელება: ქ.გურჯაანში სადაწნეო მილსადენის რეაბილიტაცია.

განხორციელების სავარაუდო ვადა (პროექტირება, მშენებლობა): 12 თვე.

სამშენებლო თანხა (სავარაუდო): 4 500 000.

მოსახლეობის საერთო რაოდენობა: 9 600 სული.

საპროექტო მოსახლეობის რაოდენობა: 9 600X1.3=12480 სული.

არსებული მდგომარეობა: სატუმბო სადგურიდან მიეწოდება ორი დ=300მმ.და დ=400მმ. ფოლადის მილი ქალაქის რეზერვუარამდე, საერთო სიგრძით 17,5კმ. აქედან რეაბილიტირებულია 4,5კმ.რეზერვუარიდან ქოროღლიშვილის ქუჩის ბოლომდე არსებული მაგისტრალი კვეთს კერძო ნაკვეთებს და ძალზედ ამორტიზირებულია.

დავალება საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად:

შესწავლილი და დადგენილი იქნას მაგისტრალური, წნევიანი ხაზის ფაქტიური მდგომარეობა, განისაზღვროს საპროექტო მაგისტრალის ოპტიმალური მანძილი სატუმბო სადგურიდან რეაბილიტირებულ ქსელამდე სავალი გზის გასწვრივ.

1. პროექტი წარმოდგენილი იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე (4 ქართული და 1ინგლისურენოვანი ვერსია).
2. პროექტის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი იქნას როგორც საწყის სამუშაო პროგრამაში ასევე მისი PDF ვერსია.
3. წარმოდგენილი იქნას დაწვრილებითი ტექნიკური სპეციპიკაციები.
4. წარმოდგენილი იქნას წინასაპროექტო ანოტაცია ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებით.
5. განმარტებით ბარათში სავალდებულოა საპროექტო ტერიტორიალური ფართის მოკლე აღწერა. (ზღვის დონიდან აბსოლიტური ნიშნულის მითითებით).
6. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს საკვლევ-საძიებო, ჰიდროლოგიური, საინჟინროგეოლოგიური და გეოდეზიური სამუშაოები.
7. განხორციელდეს ტოპო გადაღება და პროფილების მიხედვით შედგეს სრული ჰიდრავლიკური ანგარიში.
8. ჩატარდეს ტერიტორიის სრულფასოვანი გეოლოგიური კვლევა და წარმოდგენილი იქნას ანალიზური შედეგები.
9. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ქალაქის ზონირება შესაბამისი ნორმების დაცვით.
10. ჩასატარებელი სამუშაოები დაიყოს ეტაპების რიგითობის მიხედვით.
11. დაცულ იქნას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისინებული გარემოს დაცვითი და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები.
12. დაცულ იქნას უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები.

საქართველო, შპს „გეომეფი“ GEORGIA "GEOMAP" LTD 15149177



მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. # 7; ტელ.: 790991929, 891163016.; ელ. ფოსტა: [illegible], dougalir@geomap.pro

13. საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული იქნას განსახლების საკითხები.
14. მოხდეს პროექტის წინასწარი შეთანხმება სახელმწიფო და კერძო ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.
15. საინჟინრო შენობა-ნაგებობებისა და მიწისქვეშა მაგისტრალური მილსადენების დაგეგმარებისას გათვალისწინებული იქნას სეისმომედეგობა სეისმური ზონების მიხედვით.
16. პროექტის განხორციელების არეალში არსებული კომპანიის კუთვნილი შენობა-ნაგებობების სრული რემონტი.
17. პროექტში სადაც მოსაწყობი იქნება ფოლადის მილსადენი პროექტანტს დაევალოს გაითვალისწინოს და პროექტში მიუთითოს ფოლადის მილი ქარხნული იზოლაციით.

თქვენს მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დავალებას ვეთანხმებით!

შ.პ.ს გეომეფის დირექტორი: /დათა კვარაცხელია/

საქართველო. შპს. „გეომეფი“ GEORGIA. "GEOMAP" LTD 215149177


მის: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. # 7; ტელ: 790991929, 891163016,; ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

## საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;
* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

**თანხმობა**

ვეთანხმები შ.პ.ს „ გეომეფი“-ს დირექტორი: დ.კვარაცხელია

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მოცემული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარ ობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.


მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7, ტელ.: 790991929, 891163016., ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

# შ.პ.ს. „გეომეფი“ GEOMAP L.T.D.

## ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ

კონკურსანტის დასახელება: შ.პ.ს გეომეფი

| N | გაწეული მომსახურების დასახელება | ვადები | | დამკვეთი/საკონტაქტო პირის ტელეფონი | გაწეული მომსახურების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დასაწყისი | დასასრული | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | სენაკისა და ზემო ჭალადიდის თემის მოსახლეობის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხებიდან თეკლათის თემის გოლასკურის უბნიდან ზემო ჭალადიდის თემის წყალმომარაგების სისტემამდე მოწყობილი მილების მოკვლევითი და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. | 10/მარტი/2010წ. | 25/მარტი/2010წ. | +99551452844 თენგო გრიგოლია | 10 249, 62 | |
| 2 | სენაკისა და ზემო ჭალადიდის თემის მოსახლეობის წყალმომარაგების ხარჯთაღრიცხვების შედგენა. | 23/მარტი/2010წ, | 31/მარტი/2010წ. | +99551452844 თენგო გრიგოლია | 4400 | |


მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. #7; ტელ.: 790991929, 891163016; ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

შპს „გეომეფი“ GEORGIA "GEOMAP" LTD 215149177

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდიჭყონი-სალხინო-თამაკონის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. | 1/ივლისი/2011წ. | 1/ოქტომბერი/2011წ, | 577959188 ირაკლი ციკოლია | 44 444 | |
| 4 | ბიუჯეტის სახსრებით ჭალადიდის თემის მოსახლეობის 80-მდე ოჯახში სასმელი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად წყალსადენი მილის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. | 6/სექტემბერი/2011წ. | 16/სექტემბერი/2011წ. | +99551452844 თენგო გრიგოლია | 1881 | |
| 5 | ხობის მუნიციპალიტეტის, ხეთისა და თორსა-დღვაბის თემში წყალსადენი ქსელის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და ექსპერტიზა. | 26/აპრილი/2013წ. | 20/მაისი/2013წ. | 599856082 ბაქარი შონია | 18880 | |
| | სულ ჯამი | | | | 79854,62 | |

შ.პ.ს გეომეფის დირექტორი: /დათა კვარაცხელია/


მის.: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. # 7; ტელ.: 790991929, 891163016.; ელ. ფოსტა: gogakv@caucasus.net, gogakv@geomap.pro

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N37

ქ. ხობი

26 აპრილი 2013 წელი

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE71LB0120154257520000/33030862; სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ქარდავას სახით

მეორეს მხრივ შ.პ.ს. "გეომეფი" (შემდგომში მიმწოდებელი) მისამართი: იურიდიული მისამართი: ქ. ფოთი 26 მაისის ქ. N7; ფაქტიური მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ. N227 /ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 64; ტელეფონის ნომერი: 790991929; 591163016; საიდენტიფიკაციო კოდი: 215149177; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE34PC0173600100030015; ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის დათა კვარაცხელიას სახით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA130008582) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. შესყიდვის ობიექტი**

1.1. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთისა და თორსა-ღლვაბის თემებში წყალსადენის ქსელის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და ექსპერტიზა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: 71320000;

1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართში(ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების ღირებულება.**

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გათვალისწინებით) შეადგენს **18880** (თვრამეტიათას რვაას ოთხმოცი) ლარს.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს.

3.2 თუ მიმწოდებლის მიერ შედგენილმა პროექტმა სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას ან სამუშაოს დასრულების შემდეგ გამოავლინა დეფექტები, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს სრულად ყველა მიყენებული ზარალი.

**4. მომსახურების გაწევის ვადა**

4.1.საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების დასრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღით 2013 წლის 20 მაისის ჩათვლით.

4.2 საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდური სახით (5 ეგზემპლარი).

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით კონტროლის ჯგუფის მიერ.

5.2 ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3 შესყიდვის წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

**6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი**

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია), ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

7.1.2 უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან არაუადრეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

7.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.2.3 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით შეადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და გადასცეს შემსყიდველს.

7.3.2 დროულად აცნობოს შემსყიდველს მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზის ან ნაკლის შესახებ, რათა უკანასკნელს მიეცეს შესაძლებლობა უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას იგი.

7.3.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

7.3.4 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

7.3.5. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

7.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7.5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

7.5.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენზე.

7.5.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. შეტყობინება**

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა,- ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

13.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

13.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა**

14.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც. ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

**15. ფორს-მაჟორი**

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლისათვის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით , კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**16. დავების გადაწყვეტის წესი**

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**17. ხელშეკრულების კონტროლი**

17.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

17.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს :

- შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კონტროლის ჯგუფი.
- მიმწოდებელი ორგანიზაციის მხრიდან - დ. კვარაცხელია.

17.3 კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

17.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

17.5 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს შემსყიდველს შემოწმების პროცეში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

**18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

18.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

**19. დასკვნითი დებულებანი**

19.1 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

19.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.3 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ

წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

19.4 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 4 (ოთხი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

20. მხარეთა ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს | შპს „გეომეფის“ დირექტორი |
| თავმჯდომარე მამუკა ქარდავა | დათა კვარაცხელია |

მიღება - ჩაბარება

აქტი №11

ქ. ხობი

2013 წ. 31 მაისი

აქტი შედგენილია მასზედ, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა („შემსყიდველს") და შ.პ.ს „გეომეფი" („მიმწოდებელს") შორის 2013 წლის 26 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №37 ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელმა" გადასცა, ხოლო „შემსყიდველმა", სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლის ჯგუფის სახით, ჩაიბარა:

1. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთისა და თორსა-ღლეაბის თემებში წყალსადენის ქსელის დაექსპერტებული საპროექტო დოკუმენტაცია, თანხით - 18880 (თვრამეტიათას რვაას ოთხმოცი) ლარი.

ჩააბარა:

შ.პ.ს „გეომეფი"-ს დირექტორი /დ. კვარაცხელია/

მიიღო:

კონტროლის ჯგუფის უფროსი /ზ. ჯობავა/

ჯგუფის წევრები /ა. სართანია/

/გ. თოდუა/

/ვ. ქანდარია/

/გ. დანელია/

/ა. კაკულია/

/ზ. ბუკია/

ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 48

სენაკი „ 10 " მარტი 2010 წ

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში "შემსყიდველი" მუნიციპალიტეტის გამგებლის თენგიზ ადამიას სახით და მეორე მხრივ, შპს „გეომეფი" დირექტორის გოგა კვარაცხელიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი".

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით სენაკისა და ზემო ჭალადიდის თემის მოსახლეობის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხებიდან თეკლათის თემის გოლასკურის უბნიდან ზემო ჭალადიდის თემის წყალმომარაგების სისტემამდე მოწყობილი მილების (2700 გრძ.მ.) მოკვლევით და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულებაა 10249.62 (ათი ათას ორასორმოცდაცხრა ლარი და 62 თეთრი) ლარის ოდენობით.

## 4. შესასყიდი სამუშაოს ხარისხი სტანდარტებთან შესაბამისობა

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული სამუშაოები და მოკვლევის შედეგები მოქმედი ნორმებისა და წესების მიხედვით. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას შესყიდვის ობიექტის მიღებაზე თუ მიმწოდებელმა მიაწოდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაო.

## 5. სამუშაოს მიწოდების ვადები

5.1 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას აღნიშნული სამუშაო მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 25 მარტამდე.

## 6. სამუშაოს მიღება--ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი"

## 7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" განხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით.

7.2. „მიმწოდებლის" მიერ საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში „შემსყიდველი" ახორციელებს მის ავანსირებას არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-ისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე
მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
9.3.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებსშემსრულებელსხელშეკრულებისშეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1,5 %-ის ოდენობის.

## 10. ფორს – მაჟორული სიტუაციები

10.1. ფორს—მაჟორული გარემოების შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს ორივე მხარეს საჯარიმო სანქციების გამოყენებისაგან.
10.2. ფორს—მაჟორული გარემოების დადგომისთანავე "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" უგზავნის შეტყობინებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

## 11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1ხელშეკრულების მოქმედების პროცესში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოზე საბაზრო ფასების ცვლილებიდან გამომდინარე შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ გადაისინჯება.
11.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრები შეიცვლება კონკრეტული გარემოებების დროს (ინფლაციის მაღალი დონე, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1.ხელშეკრულება ძალაშია 2010 წლის 5 აპრილის ჩათვლით.

## 13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში დამკვეთი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს

დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

**14.სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ჩაბარებიდან ორი წლის განმავლობაში ყველა ნაკლის აღმოფხვრა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

**15. განსაკუთრებული პირობები**

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ორი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს").

ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"

სენაკის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

თენგიზ ადამია

ქ. სენაკი ჭავჭავაძის ქ.№103
სს „სახალხო ბანკი",
სენაკის ფილიალი

ანგ. №033031003
ბ/კ: 220101450
ს/კოდი: 239889705

„მიმწოდებელი"

შპს „გეომეფი"-ს
დირექტორი

გოგა კვარაცხელია

ქ.ფოთი, 26 მაისის №7
ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"
ცენტრალური ფილიალი

ანგ.№10629414502
ს/კ: 215149177
ბ/კოდი: 220101757

შემსრულებელი: ხ. ჭანტურია

შეთანხმებულია: ზ. ტყებუჩავა

ვიზირებულია: ც. მირცხულავა

ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 56

სენაკი

„ 23 " მარტი 2010 წ.

## 1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1ერთის მხრივ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი", მუნიციპალიტეტის გამგებლის თენგიზ ადამიას სახით და მეორე მხრივ, შპს „გეომეფი" დირექტორის გოგა კვარაცხელიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი".

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკისა და ზემო ჭალადიდის თემის მოსახლეობის წყალმომარაგების ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის ღირებულება 4400 (ოთხიათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

## 4. შესასყიდი მომსახურების ხარისხი სტანდარტებთან შესაბამისობა

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" აღნიშნული მომსახურება რომელიც დააკმაყოფილებს გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

## 5. მომსახურების მიწოდების ვადები

5.1"მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 2010 წლის 31 მარტამდე.

## 6. მომსახურების მიღება--ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი, მიღებულად ჩაითვლება სათანადო აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდეგ.

## 8. მხარეთა უფლება—მოვალეობანი

8.1.ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

9.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს

გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 10. ფორს – მაჟორული სიტუაციები

10.1.ფორს—მაჟორული გარემოების შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს ორივე მხარეს საჯარიმო სანქციების გამოყენებისაგან.
10.2.ფორს—მაჟორული გარემოების დადგომისთანავე "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" უგზავნის შეტყობინებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.
10.3.ფორს—მაჟორული გარემოების გარდა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქცია შესყიდვის თანხის 1.5 %-ის ოდენობით.

## 11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1.ხელშეკრულების მოქმედების პროცესში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე საბაზრო ფასების ცვლილებებიდან გამომდინარე შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ გადაისინჯება.
11.2.ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრები შეიცვლება კონკრეტული გარემოებების დროს. (ინფლაციის მაღალი დონე, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა).

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1ხელშეკრულება ძალაშია 2010 წლის 15 მაისის ჩათვლით.

## 13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

## 14.სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1"მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ორი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს").

ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი

თენგიზ ადამია

ქ. სენაკი ჭავჭავაძის ქ.№103
სს „სახალხო ბანკი",
სენაკის ფილიალი

ანგ. №033031003
ბ/კ: 220101450
ს/კოდი: 239889705

„მიმწოდებელი"

შპს „გეომეფი"-ს დირექტორი

გოგა კვარაცხელია

ქ.ფოთი, 26 მაისის №7
ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"
ცენტრალური ფილიალი

ანგ.№10629414502
ს/კ: 215149177
ბ/კოდი: 220101757

შემსრულებელი: ხ. ჭანტურია

შეთანხმებულია: ზ. ტყებუჩავა

ვიზირებულია: ც. მირცხულავა

მიღება – ჩაბარების

აქტი

სენაკი 30 მარტი 2010 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფმა შემადგენლობით, ერთის მხრივ: მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზ. ტყებუჩავამ, საფინანსო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ხათუნა ჭანტურიამ, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსმა მთავარმა ბუღალტერმა თინა თულაძემ, გამგეობის მუნიციპალიტეტის მთავარმა სპეციალისტმა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში როლანდ თოდუამ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა რ. თოდუამ და მეორეს მხრივ შპს „გეომეფი"-ს დირექტორმა გოგა კვარაცხელიამ შევადგინეთ მიღება–ჩაბარების აქტი სენაკისა და ზემო ჭალადიდის თემის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე ღირებულებით 4400 (ოთხიათას ოთხასი) ლარი.
სულ ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურეობის ხარჯები შეადგენს 4400 (ოთხიათას ოთხასი) ლარს.
ხელშეკრულების (№56 23.03.2010) ღირებულებაა 4400 (ოთხიათას ოთხასი) ლარი.

ინსპექტირების ჯგუფი ადგენს: №56 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ჩაითვალოს მიღებულად.

„შემსყიდველი"ჯგუფის ხელმძღვანელი ზ. ტყებუჩავა

ჯგუფის წევრები: ხ. ჭანტურია

თ. თულაძე

რ. თოდუა

შეთანხმებულია:

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების სამსახურის უფროსი რ. თოდუა

„მიმწოდებელი"

შპს„გეომეფი"-ს
დირექტორი გ. კვარაცხელია

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 140

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „ 6 " სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, სენაკის მუნიციპალიტეტი (მის: სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №243) საიდენტიფიკაციო კოდი: 239889705; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის № GE 75 LB 0120134832123000; სს „ლიბერთი ბანკი" სენაკის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22; წარმოდგენილი– მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზესიკ ნარმანიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს „გეომეფი" (მის: ფოთი, 26 მაისის #7) საიდენტიფიკაციო კოდი: 215149177; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის № GE 34 PC 17360010003001 5; სს „პროკრედიტ ბანკი" ზუგდიდის ფილიალი, ბანკის კოდი MIBGGE22; წარმოდგენილი დირექტორის დათა კვარაცხელიას (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა სენაკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (**SPA110021708**), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 1881 (ერთი ათას რვაასოთხმოცდაერთი) ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 სენაკის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის სახსრებით სენაკის მუნიციპალიტეტში ჭალადიდის თემის მოსახლეობის 80-მდე ოჯახში სასმელი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად და წყალსადენი მილის სარეაბილიტაციოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვა (CPV 71320000).

3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ პირობებს და მოქმედ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომლები.

5. მიწოდების პირობები

5.1 მომსახურების მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში არაუგვიანეს 2011 წლის 16 სექტემბრისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა-უნაღდო ანგარიშსწორება.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში..

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს
მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს განმსაზღვრელს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი

მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2011 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით.

20. დასკვნითი დებულებები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

ზვიად ნარმანია

მიმწოდებელი:

შპს „გეომეფი"-ს

დირექტორი

დათა კვარაცხელია

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №159

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 1 ივლისი 2011 წ.

ერთის მხრივ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში "შემსყიდველი")
(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ შპს „გეომეფი" (შემდგომში "მიმწოდებელი")
(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე,

*მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდიჭყონი-სალხინო-თამაკონის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.*
(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ

თანხაზე: **44444 (ორმოცდაოთხიათასოთხასორმოცდაოთხი) ლარი** (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").
(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;
გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
დ) ტექნიკური პირობები;
ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა *(თუ ეს მექანიზმი გამოიყენება)*.
თ) ნახაზები და სპეციფიკაციები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი                                        მამუკა დანელია
(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი                                        დათა კვარაცხელია
(მიმწოდებლის სახელი, გვარი)

# ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქ. №10, ს/კ 235447343. საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის მარტვილის ფილიალი, ბ/კ **LBRTGE22**, ანგ. **№ GE50LBO120126551054000**. (შემდგომში „შემსყიდველი")
მეორეს მხრივ შპს „გეომეფი" ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7 ს/კ 215149177, სს „ბანკი ქართუ" ბ/კ **CRTUGE22** ანგ. **№ GE84CR0050008700243605**
(შემდგომში „მიმწოდებელი")

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 *მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდიჭყონი-სალხინო-თამაკონის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (3 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია (ქართულ-ინგლისური))*

*დანაყოფის კოდი* 71300000- საინჟინრო მომსახურებები

შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. მისაწოდებელი საქონლის **(გასაწევი მომსახურების)** საერთო ღირებულება შეადგენს

**44444 (ორმოცდაოთხიათასოთხასორმოცდაოთხი) ლარი**
--------------------------- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. შესასყიდი საქონლი **(გასაწევი მომსახურების)** ერთეულის ფასი შეადგენს

--------------------- (ყოველთვიურად)
3.3. საქონელი მიწოდებული **(მომსახურება გაწეული)** იქნება შემდეგ მისამართზე:
ქ. მარტვილი

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია

ყოველდღიურად (ყოველთვიურად) განახორციელოს საქონლის მიწოდება (მომსახურება). იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული_მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის № 31 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

## 8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვისვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება ექსპლუატაციაში შესვლიდან 1 თვის განმაელობაში.

## 9. ანგარიშსწორება

9.1

9.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით 5 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება <u>უნაღდო</u> (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.
15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 01. 10. 2011.
(რიცხვი, თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და 2 აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველი ორგანიზაცია: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა | შპს „გეომეფი" |
| ს.კ. 235447343 ანგ.№ GE50LBO120126551054000 | ს.კ 215149177 ანგ. №GE84CR0050008700243605 |
| ლიბერთი ბანკის მარტვილის ფილიალი | სს „ბანკი ქართუ " |
| ბ.კ. LBRTGE22 | ბ.კ CRTUGE22 |
| (ბ.ა.) | (ბ.ა.) |
| მამუკა დანელია | დათა კვარაცხელია |

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. მარტვილი

25.11.2011წ

ერთის მხრივ შპს „გეომეგი"-ს დირექტორი დათა კვარაცხელია (შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა დანელია (შემდგომში „შემსყიდველი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შპს გეომეგი"-ს დირექტორმა დათა კვარაცხელიამ ჩააბარა, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა დანელიამ ჩაიბარა №159 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდიჭყონი-სალხინო-თამაკონის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
ღირებულებით 44444 ლარი.

რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

ჩავაბარე

შპს „გეომეგი"-ს დირექტორი
დათა კვარაცხელია

ჩავიბარე

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი
მამუკა დანელია